



აუდიტორების აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

N 26/36

“ვაშტიკივა”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

“ 30 ” “ 03 ” 2018 წელი

ვგზ: N1

“შიდასახელმწიფოებრივი გზების აპტივების
მართვის პროექტის (SRAMP)” ეფექტიანობის
აუდიტის ანგარიში

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები:

AADT	წლის საშუალო დღიური ნაკადი
COSO	სასპონსორო ორგანიზაციის კომიტეტი
CW	სამშენებლო სამუშაოები
DLIs	სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორები
ETCIC/TRRC	სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი
FPU	საერთაშორისო პროექტების სამმართველო
HDM4	ავტომაგისტრალების განვითარებისა და მართვის მოდელი
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
IFR	შუალედური ფინანსური ანგარიშგება
iRAP	საგზაო (უსაფრთხოების) შეფასების საერთაშორისო პროგრამა
ISSAI	უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტები
ITB	ტენდერში მონაწილეებისთვის განკუთვნილი ინსტრუქცია
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MRDI	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
OPRC	შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტი
PAD	პროექტის შეფასების დოკუმენტი
POM	პროექტის მართვის სახელმძღვანელო
QCBS	ხარისხისა და ფასის მიხედვით შერჩევა
RAMS	გზების აქტივების მართვის სისტემა
RD	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
SAO	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
SLRP-II	შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი
SLRP-III	შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი
SRAMP	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი
TOR	დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტისა და სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორების დადასტურების პირობები

აუდიტის მოტივაცია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (შემდგომში - სას) ჩაატარა შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (შემდგომში - SRAMP ან პროექტი) დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტი. პროექტს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - საგზაო დეპარტამენტი ან RD). აუდიტი დაიწყო 2018 წლის იანვარში და მოიცავს 06.07.2016 – 31.12.2017 პერიოდს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის დასრულების შემდგომ საგზაო დეპარტამენტი მსოფლიო ბანკს წარუდგენს აუდიტის დასკვნას და მოითხოვს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით SRAMP-ით გათვალისწინებული თანხის სესხად აღიარებას.

დამოუკიდებელი აუდიტის შედეგად, სას-ს არ გამოუვლენია შეუსაბამოები იმ პროცედურების, წესებისა და სახელმძღვანელოების მოთხოვნებთან, რომლებიც მსოფლიო ბანკისა და გზების დეპარტამენტს შორის შეთანხმებით იქნა დადგენილი. თუმცა, სას-მა გამოავლინა ორი არე, სადაც შესაძლებელია საქმიანობის გაუმჯობესება:

- ა) სას-მა ვერ მოიპოვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის განახლების პროცესში უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობას. სას გასცემს რეკომენდაციას, რომ ხუთწლიანი პროგრამა ფორმალურად დამტკიცდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ;
- ბ) ასევე გამოვლინდა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ არ ხდება შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. სას-ის მოსაზრებით, სასურველია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დანერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას სამუშაოების დაწყებამდე.

ზემოთ მოყვანილი მიგნებებისა და რეკომენდაციების გარდა, სას-ს არ გამოუვლენია საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე სახის ნაკლოვანებები ან დარღვევები.

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	5
შესავალი	7
დამოუკიდებელი აუდიტის მიზნები, მასშტაბი და მეთოდოლოგია	9
პროექტის საოპერაციო პროცესის მიმოხილვა	10
(i) ხარჯების დადასტურება	12
(ii) სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორების შემოწმება	13
აუდიტის მიგნებები და რეკომენდაციები.....	21
დასკვნა.....	24
აუდიტორთა ხელმოწერა.....	25
დანართი „ა“: სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორები (DLIs).....	26
დანართი „ბ“: ამონარიდი IFR-ებიდან.....	28
დანართი „გ“: მეთოდოლოგია და აუდიტის მიმდინარეობისას შემოწმებული დოკუმენტების ჩამონათვალი.....	31

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახით, დაიწყო შედეგზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP ან პროექტი), რომელიც 2021 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელდება. პროექტი დაფინანსებულია მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ გაცემული სესხით (სესხი N8599-GE).

პროექტის მიზნებია: (i) გზით მოსარგებლეებისათვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება პროექტით გათვალისწინებული გზების მეშვეობით; და (ii) - საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესება. 2016 წლის 28 მარტით დათარიღებული სასესიო ხელშეკრულების თანახმად, საგზაო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს პროექტის ინდივიდუალური მონიტორინგი და შეფასება დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების მეშვეობით. სას-ის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტი (შემდგომში - დამოუკიდებელი აუდიტი) მოიცავს 06.07.2016 – 31.12.2017 პერიოდს.

სას-ის აუდიტის ჯგუფი დაკომპლექტებული იყო შემდეგი სახით:

- ბიჭიკო ზარქუა - მთავარი აუდიტორი;
- თენგიზ თევდორაძე - უფროსი აუდიტორი;
- ნინო ქაშიბაძე - აუდიტორი.

აუდიტის ჯგუფმა პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების დადასტურების მიზნით, შეამოწმა შუალედური ფინანსური ანგარიშები (IFR), საგადახდო მოთხოვნები, საგადასახადო ანგარიშგაქტურები, ინვოისები და გაფორმებული კონტრაქტები. აუდიტის ჯგუფმა ასევე მიმოიხილა კონსულტანტის შერჩევისა და ექვსი საპროექტო-სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის პროცესის შესაბამისობა პროექტის მართვის სახელმძღვანელოსა და პროექტის შეფასების დოკუმენტთან. ასევე შესწავლილ იქნა განახლებული ხუთწლიანი პროგრამისა და მეორე წლისთვის მომზადებული გეგმის შესაბამისობა „გზების აქტივების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მრავალწლიანი გეგმის მომზადების სახელმძღვანელოსთან“.

დამოუკიდებელი აუდიტის შედეგად, სას-ს არ გამოუვლენია შეუსაბამოები იმ პროცედურების, წესებისა და სახელმძღვანელოების მოთხოვნებთან, რომლებიც მსოფლიო ბანკისა და გზების დეპარტამენტს შორის შეთანხმებით იქნა დადგენილი. თუმცა, სას-მა გამოავლინა ორი საოპერაციო ნაკლოვანება, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას:

აუდიტის მიგნება 1.

სას-მა ვერ მოიპოვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის განახლების პროცესში უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობას. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განმარტებით, ხელმძღვანელობის უმაღლესი პირები

მონაწილეობენ მომზადების პროცესში, თუმცა მათი გადაწყვეტილებები არ არის დადოკუმენტირებული. შედეგად, მომზადების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის მთავარი პრიორიტეტების, კრიტერიუმებისა და ცვლილებების შესახებ ხელმძღვანელობის ინფორმირებულობაზე დაკვირვება და შეფასება.

რეკომენდაცია აუდიტის მიგნება 1-ისთვის.

ხუთწლიანი პროგრამის/წლიური გეგმის მნიშვნელობისა და მათში შეტანილი ცვლილებების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, სას. გაცემს რეკომენდაციას, რომ ორივე დოკუმენტი და შემდგომი ცვლილებები ფორმალურად დამტკიცდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ.

აუდიტის დასკვნა 2.

გზების სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებულია და დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის: შესრულებული სამუშაოების ტიპი, საავტომობილო ნაკადის ინტენსივობა და ადგილობრივი კლიმატი. სას-მა გამოავლინა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წლიური გეგმის შემუშავების პროცესში, არ ხდება შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო, სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. შედეგად, საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვის, პერიოდული მოვლა-შენახვისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

რეკომენდაცია აუდიტის დასკვნა 2-ისთვის.

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას სამუშაოების ტიპის მიხედვით. შეფასების გაკეთება შესაძლებელია წარსული გამოცდილების, სამუშაოების ტიპის, წლის საშუალო დღიური ნაკადისა და რეგიონული კლიმატის საფუძველზე. აუცილებელია სხვადასხვა სამუშაოების (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია) მოსალოდნელი შედეგების ურთიერთშედარება, შემდგომში მათგან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად.

შესავალი

საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახით, დაიწყო შედეგზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP ან პროექტი), რომელიც 2021 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელდება. პროექტი დაფინანსებულია მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ გაცემული სესხით (სესხი N8599-GE).

პროექტის მიზნებია: (i) გზით მოსარგებლეებისათვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება პროექტით გათვალისწინებული გზების მეშვეობით; და (ii) საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესება.

პროექტის უმთავრეს ბენეფიციარებს წარმოადგენენ გზებით მოსარგებლეები და ამ პროექტით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი გზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა. პროექტის არეალი მოიცავს ოთხ რეგიონს, კერძოდ: მცხეთა-მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, შიდა ქართლსა და გურიას. პროექტით გათვალისწინებული გზების მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად, გზებით მოსარგებლეებს შეუმცირდებათ მგზავრობის დრო და ავტომობილების საექსპლუატაციო დანახარჯები, ასევე გაიზრდება საგზაო უსაფრთხოება. გარდა ამისა, პროექტი უზრუნველყოფს გურიის რეგიონში გრძელვადიანი სამუშაო ადგილების მიწოდებას ნაკლებად კომპლექსური მოვლა-შენახვის სამუშაოების საშუალებით, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში სარეაბილიტაციო სამუშაოებში მოკლევადიან დასაქმებას. მოსახლეობისათვის, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებში, სოციალურ-ეკონომიკური ცენტრები უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდება, რაც სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმებისა და სოციალური სერვისებით (განათლება და ჯანდაცვა) სარგებლობის საშუალებას აამაღლებს.

პროექტის ბენეფიციართა მეორე ჯგუფს წარმოადგენს გზების დეპარტამენტი და ადგილობრივი სამშენებლო ინდუსტრია. ტექნიკური დახმარების შედეგად, გზების დეპარტამენტი კიდევ უფრო გაზრდის თავის შესაძლებლობებს შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების დაგეგმარების, ბიუჯეტირების, განხორციელებისა და მონიტორინგის სფეროში. მოსალოდნელია, რომ პროექტის მეშვეობით ადგილობრივი სამშენებლო ინდუსტრია გაზრდის თავის შესაძლებლობებს ისეთი კონტრაქტების მართვასა და განხორციელებაში, სადაც რისკების გაფართოებული დიაპაზონი გადაეცემა კერძო სექტორს. გარდა ამისა, პროექტი საშუალებას მისცემს სამშენებლო ინდუსტრიას, დააგროვოს სახელმწიფო და კერძო სექტორის გრძელვადიანი პარტნიორობისთვის, მათ შორის, შედეგზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტების (OPRC) შესრულებისთვის საჭირო გამოცდილება.

პროექტი შემუშავებულია შედეგებზე დაფუძნებული საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად და სესხის თითქმის 100% გამოყოფილია მიზნობრივად, წინასწარ

განსაზღვრული ინდიკატორების (DLI) მისაღწევად. პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს - 48 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით (მათ შორის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დაფინანსებით 40 მილიონი აშშ დოლარი):

კომპონენტი 1: შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების გაუმჯობესება და შენარჩუნება (სავარაუდო ღირებულება: 46.40 მილიონი აშშ დოლარი; რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დაფინანსება: 38.66 მილიონი აშშ დოლარი). აღნიშნულ კომპონენტს გააჩნია ორი მიზანი: (i) შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების გაუმჯობესებისა და შენარჩუნების ხელშეწყობა და (ii) მოსახლეობისთვის სოციალურ მომსახურებებზე წვდომისა და მათი ეკონომიკურ აქტივობებში ჩართულობის ზრდა. პროექტი მოიცავს იმ რეგიონებს, სადაც აღნიშნული პრობლემა ყველაზე მეტად არის აქტუალური და ითვალისწინებს ინოვაციურ შედეგზე დაფუძნებულ საკონტრაქტო სამუშაოებს: OPRC და პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტები. აღნიშნული კომპონენტი ეფუძნება პროექტით წინასწარ განსაზღვრული შედეგების მიღწევას და მისი დაფინანსება დაკავშირებულია დადგენილი DLI-ების შესრულებასთან (DLI-ები მოცემულია „ა“ დანართში).

კომპონენტი 2: გაუმჯობესებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების დაგეგმვა და მენეჯმენტი (სავარაუდო ღირებულება: 1.5 მილიონი აშშ დოლარი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დაფინანსება: 1.25 მილიონი აშშ დოლარი). აღნიშნული კომპონენტის მიზანია ხელი შეუწყოს ინსტიტუციონალურ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს ინოვაციური მენეჯმენტის პრაქტიკის ინტეგრირებას საავტომობილო გზების დეპარტამენტის მთლიანად გზების აქტივების მართვაში და საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაძლებლობების გაფართოებას არა მხოლოდ პროექტით გათვალისწინებული, არამედ მთლიანი შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მრავალწლიანი პროგრამების შემუშავებასა და წლიურ დაგეგმარებასთან მიმართებით. არის DLI-ზე დაფუძნებული კომპონენტი და დაფინანსება დაკავშირებულია დადგენილი ინდიკატორების შესრულებასთან.

კომპონენტი ეფუძნება მთელ რიგ საქმიანობას, რომლებიც ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების ფარგლებში და მოიცავს: (i) შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის (SLRP-II) ფარგლებში გზების აქტივების მართვის სისტემის (RAMS) განვითარებას, (ii) საავტომობილო გზების დეპარტამენტის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების ხუთწლიანი პროგრამის და წლიური გეგმის მომზადებას, ასევე (iii) შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში საგზაო (უსაფრთხოების) შეფასების საერთაშორისო პროგრამის (iRAP) პილოტირებას.

2016 წლის 28 მარტით დათარიღებული სასესიო ხელშეკრულების თანახმად, საგზაო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს პროექტის ინდივიდუალური მონიტორინგი და შეფასება დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების მეშვეობით.

დამოუკიდებელი აუდიტის მიზნები, მასშტაბი და მეთოდოლოგია

06.07.2016-31.12.2017 პერიოდის დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის მიზანი შედგებოდა ორი კომპონენტისაგან:

(i) **პროექტის ფარგლებში გასაწევი ხარჯების დადასტურება.** აღნიშნულის მიზანი იყო იმის დადასტურება, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ხარჯები ექვემდებარება ანაზღაურებას და გაწეულ იქნა 2016 წლის 28 მარტის საქართველოს და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული შესყიდვების განხორციელებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ კონტრაქტორებისგან დეტალური პროექტები არ მიუღია საავტომობილო გზების დეპარტამენტს და სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა 2017 წელს, დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის მიზანს არ წარმოადგენდა იმის შემოწმება, გაწეული იყო თუ არა ხარჯები ზემოაღნიშნული სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად.

(ii) **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორების მიმდინარეობისა და შესრულების შემოწმება.** აღნიშნულის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, რამდენად შესრულდა სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორები და სესხის თანხის იმ ოდენობის განსაზღვრა, რომელიც ოფიციალურად უნდა აღიარდეს გადახდილად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- პროექტით გათვალისწინებული გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მოსამზადებლად და საზედამხედველო მომსახურების გასაწევად კონსულტანტის შერჩევა OPRC კონტრაქტის ფარგლებში;
- ექვსი პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის გაფორმება და საპროექტო სამუშაოების დაწყება;
- ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის (2018) გეგმის მომზადება.

DLI 1.2 OPRC-ის ფარგლებში პერიოდული მოვლა-შენახვის განხორციელება, DLI 2.2 გზების უსაფრთხოების ინტეგრაცია აქტივების მართვაში და DLI 2.3 კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირების პრაქტიკის დანერგვა საავტომობილო გზების დეპარტამენტის გზების აქტივების მართვაში არ იყო რელევანტური აუდიტებულ პერიოდში (წელი 1-ლი).

დამოუკიდებელი აუდიტი ჩატარდა სას-ის ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო სტანდარტებთან. აუდიტის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა შემდეგი სამი მეთოდი: დოკუმენტის ანალიზი, მონაცემთა ბაზის ანალიზი და ინტერვიუები საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებთან.

პროექტის საოპერაციო პროცესის მიმოხილვა


საავტომობილო გზების დეპარტამენტი ექვემდებარება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მთავარი ამოცანებია:

- საქართველოში საგზაო უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება;
- მგზავრობის დროის შემცირება;
- სატრანზიტო ნაკადის გაზრდა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რაციონალური მართვა/გაუმჯობესება;
- საგზაო ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების გაუმჯობესება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მთლიანად პასუხისმგებელია SRAMP-ის მართვასა და განხორციელებაზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს მინიჭებული აქვთ პროექტის მართვის ფუნქციები. მათ ეხმარება საერთაშორისო პროექტების სამმართველო (FPU), რომელიც პასუხისმგებელია შესყიდვებზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, ასევე სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (ETCIC/TRRC), რომელიც პასუხისმგებელია ფინანსურ მენეჯმენტზე ფულადი სახსრების ნაკადების, ბუღალტერიისა და ფინანსური ანგარიშგების ჩათვლით. ასევე ჩართულნი არიან გზების დეპარტამენტის სხვა სამმართველოებიც: დაგეგმვის, საგზაო უსაფრთხოებისა და მშენებლობის უსაფრთხოების მართვაში. SRAMP-ის ორგანიზაციული სტრუქტურა მოყვანილია ცხრილში N1.

ETCIC/TRRC თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან პროექტისთვის განსაზღვრული სახაზინო ანგარიშის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

ცხრილი N1. ორგანიზაციული სტრუქტურა



(i) ხარჯების დადასტურება

ETCIC/TRRC პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაზე. ხარჯები აისახება შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც მზადდება ყოველკვარტალურად და მოიცავს შემდეგ ანგარიშგებებს:

- პროექტის დაფინანსების წყაროებისა და ფულადი სახსრების გამოყენების შეჯამებას;
- გამოყენებული ფულადი სახსრების შეჯამებას პროექტის კომპონენტების მიხედვით;
- საბალანსო ანგარიშგებას;
- პროექტისთვის განსაზღვრული სახაზინო ანგარიშის შესახებ ანგარიშგებას;
- ხარჯების შესახებ ანგარიშგებასა და გრაფიკს;
- პროექტის ფულად პროგნოზებს;
- DLI აუდიტზე დაყრდნობით ნებადართული და პროექტის დაფინანსებული ხარჯების შეჯამებას.

აუდიტორული პერიოდის განმავლობაში, ექვსი შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა და წარედგინა მსოფლიო ბანკს. ETCIC/TRRC-ის ფინანსური მენეჯმენტის სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც SRAMP-ისთვისაა განკუთვნილი, ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები აღიარებულია საკასო მეთოდით, რაც მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

აუდიტის ჯგუფმა მიმოიხილა 2016 წლის 6 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მომზადებული ყველა შუალედური ფინანსური ანგარიშგება, ასევე მიმოიხილა და შეისწავლა ხარჯებთან დაკავშირებული ანგარიშფაქტურები, ინვოისები, საგადახდო დავალებები, გაფორმებული კონტრაქტები და შესყიდვების გეგმა. დამოუკიდებელმა აუდიტმა დაადასტურა საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მიზნობრიობა. გაწეული ხარჯების დეტალები იხ. ქვემოთ (ამონარიდი შუალედური ფინანსური ანგარიშგებიდან წარმოდგენილია „ბ“ დანართში):

ცხრილი 1. გაწეული ხარჯები

გადახდის თარიღი	საგადახდო დავალება	მიმღები	კონტრაქტი N	თანხა აშშ დოლარი
23.06.2017	00016	AGT Management, Consulting and Construction LTD	SRAMP/CW/NCB-05	255,323
23.06.2017	00017	AGT Management, Consulting and Construction LTD	SRAMP/CW/NCB-01	786,598
2.08.2017	00067	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	13,743
2.08.2017	00074	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	29,190
29.09.2017	00174	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	32,453
9.10.2017	00222	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	57,639
11.12.2017	00338	შპს საქმილსადენშენი	SRAMP/CW/NCB-03 L1	316,338
22.12.2017	00373	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	63,067
22.12.2017	00372	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	29,531
25.12.2017	00382	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	109,528
28.12.2017	00403	Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD	SRAMP/CS/QCBS-02	28,814
29.12.2017	00419	შპს ორიენტირი	SRAMP/CW/NCB-03 L2	91,523
ჯამი:				1,813,747¹

(ii) სესხის მიზნობრიობასთან დაკავშირებული ინდიკატორები

პროექტი შემუშავებულია როგორც შედეგებზე დაფუძნებული საინვესტიციო პროექტების დაფინანსება და სასესხო ხელშეკრულებით განისაზღვრება კონკრეტული DLI-ები. სასესხო ხელშეკრულების მე-2 თავის IV.ბ.6 ნაწილის საფუძველზე, მსოფლიო ბანკის მიერ მსესხებლისთვის გაგზავნილი შეტყობინებით 2017 წლის 20 დეკემბერს დაზუსტდა თავდაპირველი DLI (იხ. „ა“ დანართი).

საბაზისო წლის (წელი 1-ლი) DLI განისაზღვრა შემდეგნაირად:

DLI 1.1 – პროექტით გათვალისწინებული გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მოსამზადებლად და სახედამხედველო მომსახურების გასაწევად კონსულტანტის შერჩევა OPRC კონტრაქტის ფარგლებში;

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა კონსულტანტის შერჩევის პროცესი და მიმოიხილა შემდეგი დოკუმენტები:

- შესყიდვის გეგმა;
- განცხადება;
- პრეტენდენტთა მოკლე სიის შეფასების ანგარიში;
- მოწვევის წერილები;
- ტექნიკური და ფინანსური წინადადებების საჯარო გახსნის ოქმები;
- ტექნიკური და საერთო (კომბინირებული) შეფასების ანგარიშები;
- თანხმობის წერილი;
- კორესპონდენცია საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკს შორის.

მოთხოვნა ინტერესთა გამოხატვისთვის გამოცხადდა 2017 წლის 30 მარტს და ოცდარვიდან ოთხი კომპანია შეირჩა მსოფლიო ბანკის მიერ სტატუსით - „ნებადართულია“. შერჩეული

1 In addition, Front End Fees totaling USD100,000 is recognized as expenditures in IFRs.

კომპანიები და კომბინირებული შეფასების ანგარიშის მიხედვით მინიჭებული შესაბამისი ქულები მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 2. შერჩეული კომპანიები

კონსულტანტი	ტექნიკური ქულა	ფინანსური ქულა	საბოლოო ქულა (80% ტექნიკური + 20% ფინანსური)
TNM – Technology and management Ltd (Israel)	77.50	77.41	77.48
Egis International (France)	70.46	100.00	76.37
JV Renardert S.A. & Partners Consulting Engineers L.L.C., Renardet S.A and Dohwa Engineering Co. Ltd Oman/Switzerland/Korea)	72.50	88.75	75.77
JV IRD Engineering S.r.l. and SPEA Engineering S.P.A (Italy/Italy)	70.80	85.06	73.65

გამარჯვებული კონსულტანტი, TNM – Technology and management Ltd, შეირჩა 2017 წლის 3 ნოემბერს. დამოუკიდებელი აუდიტი ადასტურებს, რომ კონსულტანტის შერჩევის პროცესი განხორციელდა IBRD-ის სესხებისთვის და IDA-ს კრედიტებისა და გრანტებისთვის მსოფლიო ბანკის მსესხებლის მიერ კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიხედვით. ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფი ადასტურებს, რომ DLI 1.1 მიღწეულია.

DLI 1.3 - ექვსი პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის გაფორმება და საპროექტო სამუშაოების დაწყება.

აუდიტის ჯგუფმა მიმოიხილა და შეისწავლა კონტრაქტები და მათთან დაკავშირებული შესყიდვების პროცესი შემდეგ დოკუმენტებთან ერთად:

- შესყიდვების გეგმა;
- განცხადება;
- მოწვევა სატენდერო წინადადებებისათვის;
- სატენდერო წინადადებები;
- საგარანტიო დეკლარაციები სატენდერო წინადადებაზე;
- სატენდერო წინადადებების გახსნის ოქმი;
- სატენდერო წინადადებების შეფასების ანგარიშები;
- თანხმობის წერილი;
- შესრულების გარანტიები (გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი);
- კორესპონდენცია საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკს შორის.

დამოუკიდებელი აუდიტი ადასტურებს, რომ შესყიდვების პროცედურები განხორციელდა „საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ IBRD-ის სესხებისთვის და IDA-ს კრედიტებისა და გრანტებისთვის მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიხედვით. ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფი ადასტურებს, რომ არ გამოვლენილა ისეთი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს DLI-ის

შესრულებაზე და DLI 1.3 მიღწეულია. ქვემოთ, ცხრილის სახით მოცემულია დეტალები გაფორმებულ კონტრაქტებზე:

ცხრილი 3. ხელმოწერილი კონტრაქტები

კონტრაქტის N	კონტრაქტის თარიღი	გამარჯვებული კომპანია	აქტივობა	კონტრაქტის თანხა ლარში
SRAMP/CW/ NCB-05	2.05.2017	AGT Management, Consulting and Construction LTD	ხიდისთავი-ატენის-ბოშურის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია -დაპროექტება და ზედამხედველობა 12.4-კმ დან 22,5 კმ-მდე, OPRC-ის ფარგლებში.	6,155,842
SRAM/CW/N CB-01	2.06.2017	AGT Management, Consulting and Construction LTD	თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინოგორის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია -დაპროექტება და ზედამხედველობა 1კმ დან-30 კმ მდე, OPRC-ის ფარგლებში.	18,964,874
SRAM /CW/NCB-04 LOT 1	4.06.2017	AZ-INSHAAT LTD	ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია -დაპროექტება და ზედამხედველობა მე-16 კმ დან-25.5 კმ მდე, OPRC-ის ფარგლებში	6,853,447
SRAM /CW/NCB-04 LOT 2	4.09.2017	AZ-INSHAAT LTD	ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია -დაპროექტება და ზედამხედველობა მე-25.5 კმ დან-32 კმ მდე, OPRC-ის ფარგლებში	5,111,547
SRAM /CW/NCB-03 LOT 1	1.11.2017	შპს „საქმილსადენმშენი“	ჭრებალო-ნიკორწმინდის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია 1 კმ დან - 14.6 კმ მდე, OPRC-ის ფარგლებში	8,769,412
SRAM /CW/NCB-03 LOT 2	6.11.2017	შპს „ორიენტირი“ & შპს „საქმილსადენმშენი“ & შპს „არნაბი 21“	ჭრებალო-ნიკორწმინდის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია - დაპროექტება და ზედამხედველობა 14.6 კმ დან - 25.8 კმ მდე, OPRC-ის ფარგლებში	9,764,269
ჯამი:				55,619,391

კონტრაქტი 1: SRAMP/CW/NCB-05 (სავარაუდო ღირებულება 7,728,553 ლარი) – ელექტრონული შესყიდვების სისტემაში (SPA) 2016 წლის 27 ოქტომბერს გამოცხადდა სატენდერო წინადადებების მიღება. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2016 წლის 25 ნოემბერი. 2016 წლის 25 ნოემბრით დათარიღებული სატენდერო წინადადებების გახსნის ოქმის თანახმად, სატენდერო წინადადება წარადგინა შემდეგმა ოთხმა მონაწილემ:

1. AGT Management, Consulting and Construction LTD (Azerbaijan) – 6,182,842 ლარი.
2. შპს „იბოლია“ (საქართველო) – 6,249,892 ლარი.
3. Azeri Service LTD (Azerbaijan) – 6,955,616 ლარი.
4. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი (საქართველო) – 7,555,555 ლარი.

ხელშეკრულება გაფორმდა AGT Management, Consulting and Construction LTD-თან. კომპანია არსებითად აკმაყოფილებდა ტენდერის პირობებს და წარადგინა ყველაზე დაბალი ფასი. საკონტრაქტო ღირებულება დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვის სიის მიხედვით.

კონტრაქტი 2: SRAMPCW/NCB-01 (სავარაუდო ღირებულება 23,792,513 ლარი) - ელექტრონული შესყიდვების სისტემაში (SPA) 2016 წლის 19 დეკემბერს გამოცხადდა სატენდერო წინადადებების მიღება. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 30 იანვარი. 2017 წლის 30 იანვრით დათარიღებული სატენდერო წინადადების გახსნის ოქმის თანახმად, სატენდერო წინადადება წარადგინა შემდეგმა ხუთმა მონაწილემ:

1. AGT Management, Consulting and Construction LTD (აზერბაიჯანი) – 18,989,011 ლარი.
2. Az-Inshaat LLC (აზერბაიჯანი) – 20,801,971 ლარი.
3. Qarachay Individual Company (აზერბაიჯანი) – 22,686,696 ლარი.
4. „ბლექ სი გრუპი კომპანი“ (საქართველო) – 27,850,000 ლარი.
5. Korpu-Bina-Tikinti LLC (თურქეთი) – ვერ წარმოადგინა ფასი.

ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ეიჯითი მენეჯმენტი, კონსალტინგი და კონსტრაქშენსთან“. კომპანია არსებითად აკმაყოფილებდა ტენდერის პირობებს და წარადგინა ყველაზე დაბალი ფასი. საკონტრაქტო ღირებულება დაკორექტირდა მოცულობათა უწყისის მიხედვით.

კონტრაქტი 3: SRAMP/CW/NCB-04 Lot 1 (სავარაუდო ღირებულება 8,916,575 ლარი) - ელექტრონული შესყიდვების სისტემაში (SPA) 2017 წლის 1 მაისს გამოცხადდა სატენდერო წინადადებების მიღება. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 30 მაისი. 2017 წლის 30 მაისით დათარიღებული სატენდერო წინადადების გახსნის ოქმის თანახმად, სატენდერო წინადადება წარადგინა შემდეგმა შვიდმა მონაწილემ:

1. Az-Inshaat LLC (აზერბაიჯანი) – 6,853,447 ლარი.
2. AGT Management, Consulting and Construction LTD (აზერბაიჯანი) – 7,757,421 ლარი.
3. Technocomspetsstroy LLC (რუსეთის ფედერაცია) – 7,933,292 ლარი.
4. Construction and mounting Operational company Chelyabinsk Transsignal (რუსეთის ფედერაცია) – 8,363,747 ლარი.
5. ე.ს. კომპანია შპს „ცეკური“ და შპს „არსაკიძე“ -200 (საქართველო) – 8,776,667 ლარი.
6. „ე.ს. ბილდ ინდასტრი“, P.I. IMB Podbeskidzie LLC – World Acoustic Group S.A (საქართველო, პოლონეთი) – 10,262,656 ლარი.
7. Ariana Tunnel Dam Co (ირანი) – 11,452,514 ლარი.

ხელშეკრულება გაფორმდა Az-Inshaat LLC (აზერბაიჯანი). კომპანია არსებითად აკმაყოფილებდა ტენდერის პირობებს და წარადგინა ყველაზე დაბალი ფასი.

კონტრაქტი 4: SRAMP/CW/NCB-04 LOT 2 (სავარაუდო ღირებულება 6,718,475 ლარი) - ელექტრონული შესყიდვების სისტემაში (SPA) 2017 წლის 1 მაისს გამოცხადდა სატენდერო

წინადადებების მიღება. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 30 მაისი. 2017 წლის 30 მაისით დათარიღებული სატენდერო წინადადების გახსნის ოქმის თანახმად, სატენდერო წინადადება წარადგინა შემდეგმა რვა მონაწილემ:

1. Az-Inshaat LLC (აზერბაიჯანი) – 5,111,547 ლარი.
2. AGT Management, Consulting and Construction LTD (აზერბაიჯანი) – 6,248,182 ლარი.
3. Technocomspetsstroy LLC (რუსეთის ფედერაცია) – 6,292,148 ლარი.
4. Construction and mounting Operational company Chelyabinsk Transsignal (რუსეთის ფედერაცია) – 6,301,930 ლარი.
5. Road Construction Administration N1 LTD (საქართველო) – 6,529,766 ლარი.
6. ე.ს. კომპანია შპს „ცეკური“ და შპს „არსაკიძე -200“ (საქართველო) – 6,577,006 ლარი.
7. „ე.ს. ბილდ ინდასტრი, P.I. IMB Podbeskidzie LLC – World Acoustic Group S.A (საქართველო, პოლონეთი) – 7,350,070 ლარი.
8. Ariana Tunnel Dam Co (ირანი) – 8,234,606 ლარი.

ხელშეკრულება გაფორმდა Az-Inshaat LLC (აზერბაიჯანი). კომპანია არსებითად აკმაყოფილებდა ტენდერის პირობებს და წარადგინა ყველაზე დაბალი ფასი.

კონტრაქტი 5: SRAMP/CW/NCB-03 LOT 1 (სავარაუდო ღირებულება 9,700,123 ლარი) - ელექტრონული შესყიდვების სისტემაში (SPA) 2017 წლის 1 მაისს გამოცხადდა სატენდერო წინადადებების მიღება. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 30 მაისი. 2017 წლის 30 მაისით დათარიღებული სატენდერო წინადადების გახსნის ოქმის თანახმად, სატენდერო წინადადება წარადგინა შემდეგმა ოთხმა მონაწილემ:

1. Technocomspetsstroy LLC (რუსეთის ფედერაცია) – 8,289,248 ლარი.
2. შპს საქმილსადენმშენი (საქართველო) – 8,730,127 ლარი.
3. Construction and mounting Operational company Chelyabinsk Transsignal (რუსეთის ფედერაცია) – 9,098,715 ლარი.
4. Ariana Tunnel Dam Co (ირანი) – ვერ წარმოადგინა ფასი.

შპს „ტექნოკომსპეტსტროი“ დისკვალიფიცირებულ იქნა, რადგან შესრულების გარანტია არ იყო წარმოდგენილი ტენდერში მონაწილეებისთვის განკუთვნილი ინსტრუქციის მიხედვით. აღნიშნულის გამო, 2017 წლის 30 მაისიდან კომპანიას ერთი წლის ვადით აეკრძალა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ ნებისმიერ ტენდერში მონაწილეობა.

ხელშეკრულება გაფორმდა „საქმილსადენმშენთან“. კომპანია არსებითად აკმაყოფილებდა ტენდერის პირობებს და წარადგინა მეორე ყველაზე დაბალი ფასი. საკონტრაქტო ღირებულება დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვის სიის მიხედვით.

კონტრაქტი 6: SRAMP/CW/NCB-03 LOT 2 (სავარაუდო ღირებულება 10,747,033 ლარი) - ელექტრონული შესყიდვების სისტემაში (SPA) 2017 წლის 1 მაისს გამოცხადდა სატენდერო წინადადებების მიღება. საკონკურსო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 30 მაისი. 2017 წლის 30 მაისით დათარიღებული სატენდერო წინადადების გახსნის ოქმის თანახმად, სატენდერო წინადადება წარადგინა შემდეგმა ოთხმა მონაწილემ:

1. Technocomspetsstroy LLC (რუსეთის ფედერაცია) – 9,155,836 ლარი.
2. ე.ს. შპს „ორიენტირი“ - შპს „საქმილსადენმშენი“ - შპს „არნაბი 21“ (საქართველო) – 9,764,269 ლარი
3. Construction and mounting Operational company Chelyabinsk Transsignal (რუსეთის ფედერაცია) – 10,080,717 ლარი.
4. Ariana Tunnel Dam Co (ირანი) – 13,892,457 ლარი.
5. Az-Inshaat LLC (აზერბაიჯანი) — ვერ წარმოადგინა ფასი.

Technocomspetsstroy LLC დისკვალიფიცირებულ იქნა, რადგან შესრულების გარანტია არ იყო წარმოდგენილი ტენდერში მონაწილეებისთვის განკუთვნილი ინსტრუქციის მიხედვით. აღნიშნულის გამო, 2017 წლის 30 მაისიდან კომპანიას ერთი წლის ვადით აეკრძალა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ ნებისმიერ ტენდერში მონაწილეობა.

ხელშეკრულება გაფორმდა ერთობლივ საწარმო „შპს ორიენტირი - შპს საქმილსადენმშენი - შპს არნაბი 21-სთან“. საწარმო არსებითად აკმაყოფილებდა ტენდერის პირობებს და წარადგინა მეორე ყველაზე დაბალი ფასი.

ზედამხედველობის ხელშეკრულება: საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ხარისხისა და ფასის მიხედვით შეარჩია კონსულტანტი ოთხ საგზაო მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობისთვის (პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიის ფარგლებში).

მოთხოვნა ინტერესთა გამოხატვისთვის გამოცხადდა 2017 წლის 30 მარტს და ოცდაექვსიდან შეირჩა ექვსი კომპანია მსოფლიო ბანკის მიერ „ნებადართულია“ სტატუსით.

ხუთმა კომპანიამ წარადგინა ტექნიკური და ფინანსური წინადადებები. ტექნიკური წინადადებების გახსნის შემდეგ ერთ-ერთმა კომპანიამ - Gentek Consult Ltd-მ (თურქეთი) მიიღო დისკვალიფიკაცია, რადგან წინადადება არ შეესაბამებოდა წარდგენილ პირობებს. კერძოდ, მოთხოვნილი იყო 10 მთავარი პერსონალი, 6 სხვადასხვა სპეციალისტი და 4 ადგილობრივი ზედამხედველობის ინჟინერი - თითოეული გზის მონაკვეთისთვის. კონსულტანტმა, Gentek Consult Ltd-მ წარადგინა მხოლოდ 6 ძირითადი პერსონალი და 4 ადგილობრივი ზედამხედველობის ინჟინერი, რიგითი ექსპერტების სახით. კომპანიები და კომბინირებული შეფასების ანგარიშის მიხედვით მინიჭებული შესაბამისი ქულები მოცემულია ქვემოთ. დანარჩენი 4 კომპანია და მათი შესაბამისი ქულები კომბინირებული შეფასების ანგარიშის მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 4. შერჩეული კომპანიები

კონსულტანტი	ბეჭ. ქულა	ფინანს. ქულა	საბოლოო ქულა (80% ტექნიკ. + 20% ფინანსური)
Dongsung Engineering co. LLC with sub-consultant Dohwa Engineering & Consulting Co. Ltd (კორეა)	76.98	54.97	72.57
EPTISA Sevicios de Ingenieria, S.L (ესპანეთი)	73.54	96.02	78.04
JV Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD / Nievelt Ingenieur GmbH / Centralna Punta laboratorija Doo LTD (საქართველო, ავსტრია, სერბეთი)	80.41	100	84.33
Temelsu International Engineering Services Inc (თურქეთი)	82.85	45.80	75.44

805,256 ევროსა და 2,285,070 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, (SRAMP/CS/QCBS-02) შერჩეულ კონსულტანტთან (JV Road Rehabilitation and Modernization Supervision Direction LTD / Nievelt Ingenieur GmbH / Centralna Punta laboratorija Doo LTD) გაფორმდა 2017 წლის 2 მაისს. ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, დამოუკიდებელი აუდიტი ადასტურებს, რომ DLI 1.3 მიღწეულია.

DLI 2.1 - ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მომზადება.

აუდიტის ჯგუფმა მიმოიხილა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტისათვის SLRP-III 2016 წლის 4 ნოემბერს შემუშავებული „გზების აქტივების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მრავალწლიანი გეგმის მომზადების სახელმძღვანელო“. ასევე შეფასდა და მიმოვიხილეთ მომზადებული ხუთწლიანი პროგრამა და მე-2 წლის გეგმა. სახელმძღვანელოში მითითებული ყველა კრიტერიუმი გათვალისწინებული იყო განხილულ პროგრამასა და გეგმის მომზადების პროცესში. ზემოაღნიშნული პროცედურების საფუძველზე, დამოუკიდებელი აუდიტი ადასტურებს, რომ DLI 2.1 მიღწეულია. ძირითადი კრიტერიუმები აღწერილია ქვემოთ:

მოსახლეობის სიმჭიდროვე – ინდიკატორი ასახავს 2 კმ-იან ბუფერულ ზონაში მცხოვრებ პირთა რაოდენობას ჰომოგენური უბნებიდან, მანძილთან მიმართებაში (კმ). შიდასახელმწიფოებრივი გზის ქსელის მიმდებარედ მოსახლეობის სიმჭიდროვის აღწერისთვის მთლიანობაში შეირჩა 888 ჰომოგენური უბანი (სულ 1020, ჰომოგენური ადგილებიდან). სტატისტიკური ანალიზის შემდეგ ეს უბნები დაიყო 4 პრიორიტეტულ კლასად. ეს პრიორიტეტები ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 5. პრიორიტეტული კლასები

მოსახლეობის სიმჭიდროვე	უბნების რაოდენობა	მოსახლეობის სიმჭიდროვე	საერთო სიგრძე	პრიორიტეტული კლასები
≥ 1800	124	4975	386	1
≥ 700; < 1800	211	1127	901	2
≥ 300; < 700	224	491	1178	3

< 300	329	120	1625	4
-------	-----	-----	------	---

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი – გზის მოსარგებლეთა ხარჯების შემცირება საგზაო სამუშაოების ხარჯებთან მიმართებით (კაპიტალური ხარჯები).

წლის საშუალო დღიური ნაკადი (AADT) – გაანგარიშებულია, როგორც საგზაო მონაკვეთის გასწვრივ ერთი წლის განმავლობაში ავტომობილების მთლიანი მოცულობა, გაყოფილი 365-ზე. ამჟამად, არსებობს საგზაო ქსელისთვის განკუთვნილი ხუთი საგზაო კლასი, რაც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 6. მინიჭებული საგზაო კლასები

საგზაო კლასი (TC)	TC 1	TC 2	TC 3	TC 4	TC 5
წლის საშუალო დღიური ნაკადი	< 300	> 300; < 1000	> 1000; < 2000	> 2000; < 4000	> 4000

საგზაო მონაცემები შიდასახელმწიფოებრივი გზის ქსელის გასწვრივ შეგროვდა საერთო საავტომობილო ქსელის დაახლოებით 42%-ზე. იმ შემთხვევებში, როდესაც არ იყო ჩატარებული ნაკადის გაზომვები, 1-ლი კლასის საგზაო ნაკადის მოცულობად მიჩნეული იყო 250 მანქანა/დღეში გზატკეცილის განვითარების და მართვის მოდელ 4-ში (HDM4).

საერთაშორისო უსწორმასწორობის ინდექსი (IRI²) – საავტომობილო გზების დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს გზების მდგომარეობის კვლევებს, ლაზერების გამოყენებით. ეს მონაცემები ინახება GIS-ის მონაცემთა ბაზაში და ქმნის საფუძველს HDM4-ის საგზაო ქსელის მოდელისთვის. შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის პირობები დაყოფილია ოთხ კლასად, კარგიდან ცუდამდე. ეს დაყოფა ეფუძნება საერთაშორისო უსწორმასწორობის ინდექსის მაგნიტუდას. საერთაშორისო უსწორმასწორობის ინდექსის შესაბამისი მდგომარეობა მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 7. მდგომარეობის კლასები

მდგომარეობა	კარგი	საშუალო	არასაკმარისი	ცუდი
საერთაშორისო ბრტყელი ზედაპირის ინდექსი (IRI)	IRI < 4	4 < IRI < 6	6 < IRI < 8	IRI > 8

კლიმატური ზონები – თითოეული მონაკვეთის ზუსტი კლიმატური ზონების განსაზღვრა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან HDM4 -ის ცვეთის ხარისხზე გავლენას ახდენს შესაბამისი პარამეტრები. კლიმატის ზონის კოდები და განმარტებები ნაჩვენებია ცხრილში:

² M. W. Sayers, T. D. Gillespie, and W. D. Paterson, "Guidelines for the conduct and calibration of road roughness measurements," World Bank Technical Paper 46, The World Bank, Washington, DC, USA, 1986.

ცხრილი 8. კლიმატური ზონები

კოდი:	განმარტება	HDM4-CZ
A	ჩრდილოეთ სუბტროპიკული ტენიანობა	CZ1
D	სუბტროპიკული ნახევრად მშრალი ბარი	CZ2
K	ჩრდილოეთ სუბხმელთაშუა ზღვის ნახევრად ტენიანი	CZ3
M	სუბტროპიკული მშრალი მთიანი	CZ4
U	ზომიერი ნახევრად მშრალი მთიანი	CZ5
X	მაღალმთიანი ველი	CZ6

ზემოთ მოცემული კრიტერიუმების გარდა, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ითვალისწინებს შემდეგ სოციალურ ასპექტებს: მანძილს ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან, რეგიონალურ ცენტრებთან ან საავადმყოფოებთან, სკოლების რაოდენობას და ხელმისაწვდომ ბიუჯეტს.

აუდიტის მიგნებები და რეკომენდაციები

სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორი 2.1-ის დადასტურების გარდა, აუდიტის ჯგუფმა მიმოიხილა საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უკავშირდება ხუთწლიანი პროგრამის განახლებასა და წლიური გეგმის შემუშავებას.

კრიტერიუმი 1.

ზემოთ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული შესაძლო ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით, ხუთწლიანი პროგრამა და წლიური გეგმა ოფიციალურად უნდა იყოს დამტკიცებული მენეჯმენტის მიერ. ეს ხელს შეუწყობს მომზადების/ცვლილებების პროცესის გამჭვირვალობას, ამავდროულად, დადასტურებს მენეჯმენტის ჩართულობასა და ინფორმირებულობას.


სასპონსორო ორგანიზაციის კომიტეტის (COSO) კონტექსტუალური საქმიანობის მოდელი არის მმართველობისა და მართვის პროცესების მარტივი, მაგრამ სრული ხედვა (იხ. ცხრილი 2), საქმიანობის ძირითად აქტივობებში COSO-ს სტრუქტურული საფუძვლების ინტეგრაციის საილუსტრაციოდ. ზოგადი საქმიანობის ეს მოდელი მოიცავს მართვის პროცესების უმეტესობას.

მოდელი იწყება **მმართველობით**, რომელიც განაგრძობს ორგანიზაციის ხედვასა და მისიას და მოიცავს ორგანიზაციაში დაგეგმარებასა და შესრულებაზე ხელმძღვანელობის მხრიდან მეთვალყურეობას. ასევე მოიცავს აღმასრულებელი მენეჯმენტის საქმიანობას სტრატეგიის, ეფექტიანობის დადგენისა და ორგანიზაციის სხვა მენეჯერული პროცესების უზრუნველსაყოფად.

შემდეგია **სტრატეგიის შემუშავება**. ეს არის პროცესი, რომლითაც აღმასრულებელი მენეჯმენტი განსაზღვრავს ყველაზე პრიორიტეტულ გეგმას ერთი ან მეტი მიზნის მისაღწევად, ორგანიზაციის მისიის შესაბამისად. მმართველობისა და სტრატეგიის

შემუშავების ორივე ელემენტი, ერთად უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიმართულებას და ცალსახად მნიშვნელოვანი როლი აქვს ორგანიზაციის წარმატებაში, მომხმარებელთა და დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებაში.

სურათი 2. კონტექსტუალური ბიზნესმოდელი



საქმიანობის მოდელი შედგება ოთხი ელემენტისგან, რომელიც დამყარებულია დროის დანახარჯის „დაგეგმვა, შესრულება, შემოწმება, მოქმედება“ კონცეფციაზე. COSO აღწერს ამ ელემენტებს, როგორც საქმიანობის დაგეგმვას, შესრულებას, მონიტორინგს და დამტკიცებას. აღნიშნულ ელემენტებს მენეჯმენტი იყენებს უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელებისას.

აუდიტის ჯგუფი მიიჩნევს, რომ ხუთწლიანი პროგრამა და წლიური გეგმა არის საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი და მათი მომზადება - დამტკიცების პროცესი უნდა იყოს ფორმალური.

აუდიტის მიგნება 1.

სას-მა ვერ მოიპოვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის განახლების პროცესში უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობას. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განმარტებით, ხელმძღვანელობის უმაღლესი პირები მონაწილეობენ მომზადების პროცესში, თუმცა მათი გადაწყვეტილებები არ არის დოკუმენტირებული. შედეგად, მომზადების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის მთავარი პრიორიტეტების, კრიტერიუმებისა და ცვლილებების შესახებ ხელმძღვანელობის ინფორმირებულობაზე დაკვირვება და შეფასება.

რეკომენდაცია აუდიტის მიგნება 1-ისთვის.

ხუთწლიანი პროგრამის/წლიური გეგმის მნიშვნელობისა და მათში შეტანილი ცვლილებების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, სას გასცემს რეკომენდაციას, რომ ორივე დოკუმენტი და შემდგომი ცვლილებები ფორმალურად დამტკიცდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ.

კრიტერიუმი 2.

ხარისხის ფასთან საუკეთესო ფარდობის მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა წინასწარ უნდა განსაზღვროს გზების გაუმჯობესებისა და შენარჩუნებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგები. აუდიტის ჯგუფმა განიხილა სხვადასხვა ქვეყნის გზების აქტივების მენეჯმენტთან დაკავშირებული კვლევები, რომლის თანახმად, გზების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა არის ძირითადი მაჩვენებელი დროის მოცემული პერიოდისთვის სამუშაოების ტიპიდან საუკეთესო ვარიანტის (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა, რეაბილიტაცია) გამოსავლენად. ყველაზე შესაფერისი სამუშაოების ტიპის შერჩევა უზრუნველყოფს ხარისხის ფასთან ფარდობის საუკეთესო მაჩვენებელს.

აუდიტის დასკვნა 2.

გზების სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებულია და დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის: შესრულებული სამუშაოების ტიპი, საავტომობილო ნაკადის ინტენსივობა და ადგილობრივი კლიმატი. სას-მა გამოავლინა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წლიური გეგმის შემუშავების პროცესში, არ ხდება შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. შედეგად, საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვის, პერიოდული მოვლა-შენახვისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

რეკომენდაცია აუდიტის დასკვნა 2-ისთვის.

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას სამუშაოების ტიპის მიხედვით. შეფასების გაკეთება შესაძლებელია წარსული გამოცდილების, სამუშაოების ტიპის, წლის საშუალო დღიური ნაკადისა და რეგიონული კლიმატის საფუძველზე. აუცილებელია სხვადასხვა სამუშაოს (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია) მოსალოდნელი შედეგების ურთიერთშედარება, შემდგომში - მათგან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად.

დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტი ადასტურებს, რომ 06.07.2016-31.12.2017 პერიოდში ხარჯები გაწეულია მიზნობრივად და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიაღწია საბაზისო წლის (წელი 1-ლი) მიზნებს. აუდიტის ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, რომ 1,813,747 აშშ დოლარი მიჩნეულ იქნეს გამოყოფილ სესხად. დეტალების სანახავად იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ცხრილი 9. სესხად გამოყოფა

DLI მიზნები, 2016-2017	DLI - ების შესრულება, %	DLI - სთან დაკავშირებული სესხის თანხა, (აშშ \$)	DLI -ს თანხა, რომელიც ექვემდებარება სესხად აღიარებას, (აშშ \$)	%	მთლიანი ხარჯი IFR - ების მიხედვით, (აშშ \$)	DLI - ს თანხა, რომლის სესხად აღიარებაც რეკომენდირებულია, (აშშ \$)	DLI - ს თანხა, რომლის სესხად აღიარებაც რეკომენდირებულია მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში 01.01.2018 - 31.12.2018 (აშშ \$)
პროექტით გათვალისწინებული გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მოსამზადებლად და საზედამხედველო მომსახურების გასაწევად კონსულტანტის შერჩევა OPRC კონტრაქტის ფარგლებში.	100	395,200	395,200	17.3%	1,813,747	313,695	81,505
ექვსი პროექტირება-შენიშვნის კონტრაქტის გაფორმება და საპროექტო სამუშაოების დაწყება.	100	1,810,000	1,810,000	79.21%		1,436,710	373,290
ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მომზადება.	100	79,800	79,800	3.49%		63,342	16,458
ჯამი:	100	2,285,000	2,285,000	100%	1,813,747	1,813,747	471,253

ცხრილი 10. მიღებული და გადავადებული ავანსები

აღწერილობა	რაოდენობა (აშშ დოლარი)
მიღებული ავანსების ჯამი (6 ივლისი, 2016 – 31 დეკემბერი, 2017)	6,403,471
სესხად გამოყოფა (6 ივლისი, 2016 – 31 დეკემბერი, 2017)	(1,813,747)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული ავანსი	4,589,724

აუდიტორთა ხელმოწერა

თენგიზ თევდორაძე
უფროსი აუდიტორი

ნინო ქაშიბაძე
აუდიტორი



დანართი „ა“: სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორები (DLIs)

DLI	ზომის ერთეული	1-ლი წელი პროექტის დაწყებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე	მე-2 წელი 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	მე-3 წელი 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	მე-4 წელი 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	მე-5 წელი 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	თითოეული DLI - სთვის განსაზღვრუ ლი თანხა
მიზანი							
1.1 გზების სიგრძე, რომელთა რეაბილიტაცია და პერიოდული მოვლა-შენახვა განხორციელდ ა OPRC-ის ფარგლებში	პროექტით გათვალისწინებული გზების წილი (%-ში), რომელსაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია ან პერიოდული მოვლა-შენახვა OPRC-ის ფარგლებში	პროექტით გათვალისწინებული გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მოსამზადებლად და საზედამხედველო მომსახურების გასაწევად კონსულტანტის შერჩევა OPRC კონტრაქტის ფარგლებში	პროექტით გათვალისწინებული გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია მომზადდა	10% რეაბილიტაცია	60% რეაბილიტაცია	30% რეაბილიტაცია	100%
	სესხის თანხა, აშშ დოლარი	395,200	395,200	4,200,000	7,580,000	5,389,600	17,960,000
1.2 რუტინული მოვლა- შენახვის OPRC-ის ფარგლებში მიღწეული მიზნები	OPRC-ის ფარგლებში მიმდინარე მოვლა- შენახვისთვის გადახდილი აგრეგირებული თანხის პროცენტი	-	-	საშუალოდ 80% მაინც	საშუალოდ 80% მაინც	საშუალოდ 80% მაინც	
	სესხის თანხა, აშშ დოლარი	-	-	747,000	747,000	498,000	1,992,000
1.3 პროექტირება- მშენებლობის პროგრამის მიზნების მიღწევა	პროექტირება-მშენებლობის ფარგლებში რეაბილიტირებული გზების სიგრძე (კმ)	ექვსი პროექტირება- მშენებლობის კონტრაქტის გაფორმება და საპროექტო სამუშაოების დაწყება	60	40	-	-	100
	სესხის თანხა, აშშ დოლარი	1,810,000	9,927,000	6,223,000	-	0.00	17,960,000

DLI	ზომის ერთეული	1 - ლი წელი პროექტის დაწყებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე	მე-2 წელი 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	მე-3 წელი 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	მე-4 წელი 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	მე-5 წელი 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	თითოეული DLI სთვის განსაზღვრული თანხა
		მიზანი					
2.1 გაუმჯობესებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სრული ღირებულების ხუთწლიანი პროგრამის მოშაადება	სრული ღირებულების ხუთწლიანი პროგრამის მოშაადება	ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მოშაადება	ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მოშაადება	ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მოშაადება	ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მოშაადება	ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მოშაადება	
	სესხის თანხა, აშშ დოლარი	79,800	79,800	79,800	79,800	79,800	399,000
2.2 საგზაო უსაფრთხოების ინტეგრაცია აქტივების მართვაში	GeoRAP – ის განვრცობა და გაუმჯობესებული GeoRAP – ის შეფასების რეიტინგის გაუმჯობესება გურიის რეგიონის გზებზე	-	GeoRAP – ის განვრცობა მცხეთა- მთიანეთში	GeoRAP – ის განვრცობა რაჭა- ლეჩხუმში	GeoRAP – ის განვრცობა შიდა ქართლში	გურიაში გაუმჯობესებული შიდასახელმწიფოებრივი გზები	
	სესხის თანხა, აშშ დოლარი	-	99,750	99,750	99,750	99,750	399,000
2.3 კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებული პრაქტიკის დანერგვა RD- ის გზების აქტივების მართვაში	კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების პრაქტიკის შემოღება RD-ის გზების აქტივებთან მიმართებით	-	დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მოშაადება და ტენდერის გამოცხადება კლიმატის ცვლილებების მიმართ მდგრადობის პრიორიტეტული ლონისძიებების განსახორციელებლად	რაჭაში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების პრიორიტეტული ლონისძიებების განხორციელება	რაჭაში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების პრიორიტეტული ლონისძიებების განხორციელება	-	
	სესხის თანხა, აშშ დოლარი	-	416,500	416,500	357,000	-	1,190,000
ჯამი:		2,285,000	10,918,050	11,766,050	8,863,550	6,067,350	39,900,000

დანართი „ბ“: ამონარიდი IFR-ებიდან

გამოყენებული ფულადი სახსრების შეჯამება პროექტის კომპონენტების მიხედვით - 1/10/2017- დან 31/12/2017 ჩათვლით პერიოდისთვის.

პროექტის კომპონენტები/აქტივობები	ფაქტობრივი			დაგეგმილი			გადახრა			პროექტის ჯამი
	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	
1. კომპონენტი 1-ლი გზების აქტივების გაუმჯობესება და შენარჩუნება										
კომპონენტი 1.1 OPRC-ის ფარგლებში გურიაში შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესება და შენარჩუნება										
<u>DLI 1.1</u>	-	-	-	-	-	-	-	-	-	17,960,000
<u>DLI 1.2</u>	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,992,000
კომპონენტი 1.2 პროექტირება- მშენებლობის ფარგლებში შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესება და შენარჩუნება										17,960,000
<u>DLI 1.3</u>	407,862	1,449,783	1,449,783	404,199	1,449,783	1,449,783	(3,663)	-	-	
კომპონენტი 1.3 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა										
<u>DLI 1.3</u>	321,032	363,964	363,964	142,137	465,104	465,104	(178,895)	101,140	101,140	
<u>DLI 1.3</u>	-	-	-	-	-	-	-	-	-	

პროექტის კომპონენტები/აქტივობები	ფაქტობრივი			დაგეგმილი			გადახრა			პროექტის ჯამი
	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	
სულ: კომპონენტი 1	728,894	1,813,747	1,813,747	546,336	1,914,887	1,914,887	(182,558)	101,140	101,140	
2. კომპონენტი 2 - შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების დაგეგმარებისა და მართვის გაუმჯობესება										
კომპონენტი 2.1 - გზების აქტივების მართვის სისტემის გაუმჯობესება.										
DLI 2.1	-	-	-	-	-	-	-	-	-	399,000
ქვეკომპონენტი 2.2 - საგზაო უსაფრთხოების მართვის ინტეგრირება										
DLI 2.2	-	-	-	-	-	-	-	-	-	399,000
კომპონენტი 2.3 - ტექნიკური დახმარება კლიმატის ცვალებადობაზე										
DLI 2.3	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,190,000
სულ: კომპონენტი 2	-	-	-	-	-	-	-	-	-	
სულ კატეგორიების მიხედვით: (1) საქონელი, სამშენებლო სამუშაოები, საკონსულტაციო და არასაკონსულტაციო მომსახურება - პროექტის 1-ლი და მე-2 ნაწილისთვის, ასევე	728,894	1,813,747	1,813,747	546,336	1,914,887	1,914,887	(182,558)	101,140	101,140	

პროექტის კომპონენტები/აქტივობები	ფაქტობრივი			დაგეგმილი			გადახრა			პროექტის ჯამი
	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	მიმდინარე კვარტალი	მიმდინარე წელი	ჯამური	
ტრენინგები პროექტის მე-2 ნაწილისთვის.										
კატეგორია (2) - სესხის საკონსილი	-	-	100,000	-	-	100,000	-	-	-	100,000
სულ კატეგორია (2) - სესხის საკონსილი	-	-	100,000	-	-	100,000	-	-	-	
კატეგორია (3) საპროცენტო განაკვეთის Cap ან საპროცენტო განაკვეთს Collar Premium	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ კატეგორიის მიხედვით (3) საპროცენტო განაკვეთის Cap ან საპროცენტო განაკვეთს Collar Premium	-	-	-	-	-	-	-	-	-	
პროექტის მთლიანი აქტივობები	728,894	1,813,747	1,913,747	546,336	1,914,887	2,014,887	(182,558)	101,140	101,140	40,000,000

დანართი „გ“: მეთოდოლოგია და აუდიტის მიმდინარეობისას შემოწმებული დოკუმენტების ჩამონათვალი

დამოუკიდებელი აუდიტი ჩატარდა სას-ის ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო სტანდარტებთან. აუდიტის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა შემდეგი სამი მეთოდი: დოკუმენტის ანალიზი, მონაცემთა ბაზის ანალიზი და ინტერვიუები საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებთან.

შესწავლის საგანი	მეთოდოლოგია და პროცედურები	დოკუმენტაციის ჩამონათვალი
ხარჯების დადასტურება	დამოუკიდებელი აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა და მიმოიხილა 2016 წლის 6 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში მომზადებული ექვსი კვარტალური IFR-ები, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად. სესხად გამოსაყოფი თანხის ოდენობის განსაზღვრისას, აუდიტის მიდგომა დაფუძნებული იყო TOR-ზე. თანხა განისაზღვრა DLI-ების შესრულების წილითა და IFR-ში ასახული ხარჯების მიხედვით.	- მიმოიხილა 2016 წლის 6 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის პერიოდში მომზადებული ექვსივე IFR; - ინვოისები, საგადასახადო ანგარიშგაქვები; - საგადახდო დავალებები; - გაფორმებული კონტრაქტები; - შესყიდვების გეგმა.
DLI 1.1 დადასტურება - პროექტით გათვალისწინებული გზების, შედეგზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტით (OPRC), რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის პროექტირებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოსამზადებლად კონსულტანტის შერჩევა, ასევე საზედაუმხედველო სამსახურის შერჩევა.	დამოუკიდებელი აუდიტის ჯგუფმა შეამოწმა კონსულტანტის შერჩევის პროცესის შესაბამისობა მსოფლიო ბანკის მსესხებლის მიერ კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების სახელმძღვანელო ინსტრუქციებთან, IBRD-ის სესხებისთვის და IDA-ს კრედიტებისა და გრანტებისთვის, დათარიღებული 2011 წლის იანვრით და შესწორებული 2014 წლის ივლისში. დამოუკიდებელი აუდიტის ეფექტიანობის აუდიტით დადასტურდა DLI-ების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი და შესაბამისი თანხები.	- შესყიდვების გეგმა; - განცხადება; - მოკლე სიის შეფასების ანგარიში; - მოწვევის წერილები; - ტექნიკური და ფინანსური წინადადებების საჯარო გახსნის ოქმები; - ტექნიკური და საერთო (კომბინირებული) შეფასების ანგარიშები; - თანხმობის წერილი; - კორესპონდენცია საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკს შორის.
DLI 1.3 დადასტურება – ექვსი საპროექტო-სამშენებლო კონტრაქტის გაფორმება და საპროექტო სამუშაოების დაწყება.	დამოუკიდებელი აუდიტის ჯგუფმა შეამოწმა შესყიდვების პროცესის შესაბამისობა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო ინსტრუქციებთან „საქონლის შესყიდვის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესახებ IBRD-ის სესხებისთვის და IDA-ს კრედიტებისა და გრანტებისთვის დათარიღებული 2011 წლის იანვრით და შესწორებული 2014 წლის ივლისში“. დამოუკიდებელი აუდიტის ეფექტიანობის აუდიტით დადასტურდა DLI-ების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი და შესაბამისი თანხები.	- გაფორმებული კონტრაქტები; - შესყიდვების გეგმა; - განცხადება; - მოწვევა სატენდერო წინადადებებისათვის; - სატენდერო წინადადებები; - საგარანტიო დეკლარაციები სატენდერო წინადადებაზე; - სატენდერო წინადადებების გახსნის ოქმი; - სატენდერო წინადადებების შეფასების ანგარიშები; - თანხმობის წერილი; - შესრულების გარანტიები (გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი); - მოკლე სიის შეფასების ანგარიში; - მოწვევის წერილები;

შესწავლის საგანი	მეთოდოლოგია და პროცედურები	დოკუმენტაციის ჩამონათვალი
		- ტექნიკური და ფინანსური წინადადებების საჯარო გახსნის ოქმები; - ტექნიკური და საერთო (კომბინირებული) შეფასების ანგარიშები; - კორესპონდენცია საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკს შორის.
DLI 2.1 დადასტურება - ხუთწლიანი პროგრამის განახლება და მე-2 წლის გეგმის მომზადება.	დამოუკიდებელი აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა მომზადებული ხუთწლიანი პროგრამა და მე-2 წლის გეგმა, ასევე გააანალიზა მათი მომზადებისას გამოყენებული კრიტერიუმები. დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტით დადასტურდა, რომ განახლებული ხუთწლიანი პროგრამა და წლიური გეგმა შესაბამისობაშია SLRP-III-ის ფარგლებში გაუმჯობესებულ მეთოდოლოგიასთან.	- გზების აქტივების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მრავალწლიანი გეგმის მომზადების სახელმძღვანელო". - მომზადებული ხუთწლიანი პროგრამა და მე-2 წლის გეგმა.

